რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. იგ. მუხრანსკის სახლებ-ის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ-... ზუბალოვის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...ბისათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-... „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ...წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ...თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ½ კაპ.; ... ასოზე ნახევარი კაპ., ... სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებას მიიღებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს ჭილაძის წიგნის მა-ღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

...სტიტუტში ინსტიტუტში კურს და-...ულებულს ჭსურს აძლიოს

გაკვეთილები

...პირობების შეტყობა შეიძლება „დროების" რედაქციაში. (3—3)

## ტელეგრამმა

(„სიღნაღ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

...ეტერბურღი, 18 ოქტომბერს. ინგ-...ლისიდამ, სამხრეთ საფრანგეთიდამ, ...ლიიდამ, ტიროლიდამ და სხ. ...ების ნაპირებიდამ წყლების ადიდე-...ს ამბავი მოვიდა; დიდ უბედურებას ...ენ.

...ქალებისა მედიცინის კურსებში ...ს მხოლოდ ათი ვაკანცია იყო; ...რამ, რადგან ბევრი მსურველნი ...ცხადდნენ და ყველამ მშვენივრად ...ბარა ეგზამენი, არის გამო პრო-...სორები შუამდგომლობენ სამხედრო ...სტრის წინაშე, რომ ყველა ეს ...ები მიღებულ იქმნენ კურსებზე.

...ეტერბურღი, 19 ოქტომბერს. ამ-...ენ, რომ სამხედრო მაზრებში ...ლ-ღუბერნატორის უფროსის თანამდე-...ა გაუქმებული იქნება.

...ოებში საქმის წარმოების შემოკ-...ის პროექტის შედგენა შტაბის ...ოსს დენ. ობრუჩოვს აქვს მინ-...ობილი.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროის ადგილობრივ დაწესებულებათა პროექტი სახელმწიფო რჩევაში წარდგენილი დასამტკიცებლად:

ლონდონი, 19 ოქტომბერს. ლორდ დიუფერინი ქაიროში მიდის ეგვიპტის საქმეების მოსაწყობად.

**პეტერბურღის ბირჟა, 19 ოკტომბ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 | 37 |
| მეორესი — — — — | 90 | 25 |
| მესამესი — — — — | 90 | 75 |
| მეოთხესი — — — | 90 | 37 |
| მეხუთესი — — — | 90 | 5 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 | „ |
| აღმოსავლეთის მეორე | 88 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 88 | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 19½ |
| შინაგანის 5% სესხის ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 209 | 50 |
| მეორე სესხის — — | 203 | 50 |
| 100 მანეთი ღირს: | | |
| ლონდონი — | 24 | 9 პენსი |
| ჰამბურღი — | 205 | 62 ცენტი |
| პარიჟი — — | 253 | 50 სანტიმი |
| ბერლინი — | „ | „ პფენიგი |

## დღიური

მთავარ-მმართებელი კავკასიისა თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი 18 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზედ წავიდა ტფილისიდან პეტერბურღს. მიზანი თავადის გამგზავრებისა არის— დაბოლოებითი გადაწყვეტა კავკასიის მხრის მმართველობაში მოსახდენ ცვლილებათა.

ზოგიერთი რუსეთის გაზეთები გვაცნობებენ, პეტერბურღში გავრცელებულია ხმებიო, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი სხვა ალაგზედ დაინიშნებაო.

თავადი სამს თვეს დაჰყოფს პეტერბურღში.

* * *

ამ წინაზედ „შრომაში" წავიკითხეთ ერთი გასაკვირალი ამბავი, რომ 12 წ. ვაჟს შერთეს 27 წ. ქალიო სოფ. ხარაგეულში, შორაპნის მაზრისა. ეს ამბავი გადმობეჭდა გაზ. „კავკაზმაც". ეხლა ამ უკანასკნელ გაზეთში ვკითხულობთ სინოდის კანტორისაგან ცნობას, რომ ის ვაჟი, გვარად ჩიკვაიძე, იყო 15 წლის და არა 12-ის და ქალი, კიკნაძისა, 19 წლისაო. ამასთანავე ცნობაში მოხსენებულია, სამწუხაროდ მიგვაჩნიაო, რომ გაზ. „შრომამ" ჯერ რიგიანად ვერ გამოიკვლია ეს ამბავი და გაჰკიცხა სასულიერო პირნი ამ გვარ, ვითომ-უწესო, მოქმედებისათვისაო..

* * *

გასულ ორშაბათს იყო წლიური აქტი ტფ. ოლგის საქალებო გიმნაზიისა, რომელზედაც, სხვათა შორის, დაესწრნენ: მთავარ-მმართებლის მეუღლე, ღენ. სტაროსელსკი, მაღალ-ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსი პავლე და სამასწავლო მაზრის მზრუნველი იანოვსკი.

წაკითხულ ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ ამ ჟამად საქალებო გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში სწავლობს 945 ქალი; ამ რიცხვიდან 43 ქალი იმყოფება მერვე, პედაგოგიურს კლასში. აქტზედ მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მაღალ-ყოვლად სამღვდელო პავლემ.

* * *

კასაციური საჩივარი ძმათა მიხეილის და ეგორ ნიკოგოსოვების და ამათი პრიკაშჩიკის არტემ ეგანოვისა, როგორც გაზ. „გოლოსი" გვაცნობებს, დარჩა უშედეგოდაო. ეს ის პირნია, რომელთაც დაბრალდა მაღაზიის ცეცხლის წაკიდება იმ განზრახვით, რომ სტრახის ფულები მიეღოთ, და რომელთაც ტფ. ოლქის სასამართლომ და შემდეგ პალატამ სამუდამო ციმბირი გადუწყვიტა.

* * *

სურამიდან ერთობ ცუდ ამბებს გვწერენ ერთ იქაურ ვექილ ბარონ ძლეისტზე. ამისმა უმართებულო მოქმედებამ ილაჯი წაართვა საწყალ ხალხსაო. ჯერ ერთის საქმეს მოჰკიდებს ხელს, შეიტყობს ყოველივე გარემოებას, აძლევს იმედებს მარწმუნებელს და საქმის გარჩევის დროს ამ მარწმუნებლის-ვე მოპირდაპირედ გამოჩნდება. ყოველ საქმეებს უკანვე ჩააბა-

---

„დროების" ფელეტონი, 21 ოკტ.

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა *)

...მოწყურებული ცხენები წყალს და-...ენ და რადგანაც წარსული დღის ...ეს ისინი მეტად გაეხურებინა, გა-...ძღრად სვამდნენ.

...ზე ჩქარა ჩადიოდა და ხევების ჩრდი-... უსწორ-მასწორად და გძლად დე-...ნწას ათას გვარ სახეთ ეცემოდ-...

— ეხლა რომ აქ ჩეჩნელები გა-...ნდნენ! ერთბაშად წამოიძახა ერთ-...ოფიცერმა.

— არც აგეთი გულადები არიან. ...უხა მეორემ.

— მოვიდნენ და ვაჩვენებთ თამაშს. ...ატა მესამემ.

...ები ამ საუბარში იყვნენ, როდე-... ხუთი მეგობარი წყნარად ეპარე-...ნენ იმათ და ისე ახლოს მოსუ-...ნენ, რომ ერთის გადახტომით ...რების ხელის გავლება შეეძ-...თ.

...რებმა დალიეს წყალი, აიღეს თავი და რა გამობრუნდნენ, დამალული მთიელნი მარდად გადახტნენ, თითო ხელი წაავლეს ცხენის ჯილავებს, თითოთიც დამბაჩები დაუმიზნეს გულში. შეშინებულმა აფიცრებმა პირი დაალეს დასაყვირებლად, შიშს მწარედ დაეპრანჭა იმათი სახე.

— კრინტი, თვარემ მოვიდა თქვენი აღსასრული! დასჭყივლა იაგომ.

— დაყარეთ იარაღი! უბრძანა ჩორამ.

აფიცრები მზად იყვნენ აესრულებინათ ეს ბრძანება, მაგრამ შიშისაგან იქამდინ დაფანტულიყვნენ, რომ აღარ იცოდნენ რა ექნათ, ან როგორ მოქცეულიყვნენ.

— მოდით, შემოხსენით იარაღი. დაუძახა ელბერდმა იმ ორს ამხანაგთ, რომელთაც თოფები გაშიშვლებული ეჭირათ და ისე იყვნენ.

კობა და მთიული მისცვივდნენ ბძანების შესასრულებლად. იმათ შემოხსნეს ხრმლები, დამბაჩები, დაუძღვნენ წინ, *) და წაიყვანეს.

ჯარმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია თავიანთი აფიცრების მდგომარეობა, როდესაც ისინი გაღმა გაიყვანეს გაიარეს ჭალა და გავიდნენ მინდორზედ, მაგრამ საშველად გვიანღა იყო. სანამ მდევარი ხევს გავიდოდა, მანამ მთიელებმა ტყეში შეასწრეს იქ ძებნა კი უბრალო შრომა და მაგასთან საშიშიც იყო.

ჯარი დაბრუნდა ...ბული, შეწუხებული და დარცხვენილი. იმ საყვედურის გარეთ, რომელსაც უფროსებისგან მოელოდნენ, სირცხვილიც არ უსვენებდათ, რადგანაც მთელს კავკაზიის ჯარში თითით საჩვენებელნი გახდებოდნენ.

დღე, მინდორზედ, მთელი ჯარს თვალ წინიდგან სამი აფიცერი მოსტაცეს!... მართლა, რომ ღირდა რაზედ დალონებულიყვნენ.

ესენი ამ მწუხარებაში იყვნენ და გულის კანკალით უახლოვდებოდნენ ვლადიკავკაზს, როდესაც ჩვენმა სტუმრებმა მიაღწიეს გალაშკის მახლობლად ერთს მინდორს.

— გათენებამდინ ბევრი აღარ დარჩა. დაიწყო ელბერდმა და შესდგა.

— მერე? იკითხა ჩორამ.

— აქ დავისვენოთ და ხვალ დილით გალაშკას გავალთ, თორემ ამ შუაღამისას ვის კარს მივადგეთ?

— რას იტყვი იაგო?—ჰკითხა ჩორამ.

— აბა მე რაი ვიცი? ჩვენ თქვენი სტუმრები ვართ, რაც გინდათ ისა ჰქენით.

— მაშ ეგრე ვქნათ, როგორც ელბერდ გვარჩევს.

ყველანი დათანხმდნენ, ჩამოსვეს ცხენებიდგან აფიცრები, შეუკრეს მაგრად ხელ-ფეხი, რომ გაქცევა ვერ გაებედნათ და მიყარეს ერთი ხის ძირს.

— კობაუ! უთხრა ჩორამ. თვალყური დაიჭირე, უბრალოდ კი ნურას აწყენინებ: გიაურები არიან, მაგრამ მაინც კაცებია... მხოლოდ თუ გაქცევა მოიწადა ვინმე, როგორც ძაღლს ისე ნუ დაინდობ.

— აგრე. მოკლედ უპასუხა კობამ.

— ჩვენ კი შეშას მოვაგროვებთ.

კობა მოუდგა ტყვეებს, დანარჩენები გაიფანტნენ ტყეში, ჩქარა მოაგროვეს ჩინჩხვარი და მოიტანეს კუნძები. არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც მოისმა ტყრშიალი, დაგუ-

*) იხ. „დროება" № 218.

*) ამ შემთხვევაზედ იხილე ზისერმანის თხზ. ნაწილი მეორე.

რებს, მაგრამ ფულს-კი, რომელიც წინ-და-წინვე მიუღია საქმის საწარმოებლად, სრულიად არასოდეს არ დაუბრუნებს: „ნაწილს რომ ვიტოვებ, ეს ვექილების პროცენტიაო!“—ამბობს-თურმე სული-წმიდა ვექილი. თუ რად უხდება თავის მარწმუნებელის მოპირდაპირეს ქომაგად და რად საქმე საქმედ არ მიჰყავს ამას განმარტება აღარ სჭირიან. ალბად იქეთაც სწუწნის, და აქეთაც პროცენტს ირგებს ხომ.... უაირათია.

* * *

ალავიძეებსა და მდივნებს შორის ჩხუბის თაობაზედ ჩვენს გაზეთში იყო რამდენიმე შენიშვნა. ამავე საგანზედ მივიღეთ კიდე ჩვენ ქვემო-მოყვანილი შენიშვნა, დასარღვეველად იმ შენიშვნისა ამავე შემთხვევაზე. რომელიც ჩვენი გაზეთის 204 №-ში იყო დაბეჭდილი.

„ღვთის მშობლის დღესასწაულზედ დარისპან მდივანმა (რომელიც ახლა არის დაჭრილი) ეკკლესიაზედ სთხოვა საზოგადოებას, როგორც ხევისთავმა, რომ იმ დღეს თემში არავის არ გამოეტანა იარაღი, რადგანაც სიმთვრალეში შეიძლება, და კიდევაც ხშირად ხდება ჩხუბი და უბედურება.- მართლაც, ბევრმა აასრულა მისი თხოვნა. მდივანიც უიარაღოდ იყო. ალავიძეები კი იარაღებით გამობრძანდნენ.- თემში ალავიძეს და დარისპან მდივნის ძმას, მალხაზს მოუხდათ ერთმანეთში ლაპარაკი მალხაზ მდივანმა, როგორც მოხუცებულმა კაცმა, აარიდა თავი ჩხუბს და სახლისაკენ გასწია ალავიძემ რომ დაინახა წინაამდეგის გაქცევა — მის მაგიერ, მის ორსულს ცოლს დაატაკა რამოდენჯერმე ცხენი. — ამის შემხედველმა დარისპან მდივანმა გამოესარჩლა რძალს რისთვისაც ალავიძემ გაუქნია ლეკური და გაუპო თავი მდივანს. (ალავიძე იყო ცხენოსანი და მდივანი ქვეითი). მეორედ რომ გაუქნია, იმ დროს იქ მყოფი მდივნის შვილი, რომელსაც ამ მოქნევით ალავიძემ წასჭრა ხელის თითები, შეუხტა ალავიძეს უკანიდგან ცხენზედ ძირს ჩამოაგდო და ლეკურიც წაართვეს. ამ დროს მოუსწრო მათ მეორე ძმამ, ალავიძემ და ამოღებული სატევრით გამოუდგა დარისპან მდივანს; მდივანი უკან იხეოდა და აფრთხილებდა ალავიძეს: „თავი დამანებეო, თორემ ცუდად გამოვრიგდებითო“. ერთ ხანს, რამდენიც შეიძლებოდა, მდივანი ეცადა რომ არც ის დაეჭრა და არც თვითონ მიეღო მეორე ჭრილობა, მაგრამ უეცრად მივარდა ალავიძე, მისცა მუცელში მდივანს ხანჯალი. გამწარებულმა მდივანმა მოუქნია ალავიძეს ძმის ლეკური და თავში დაჰკრა სასიკვდილოდ.

აი, სწორედ ეს გახლავთ ნამდვილი გარემოება ამ საქმისა“.

* * *

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი შენიშვნა:

„ბევრს ეცოდინება, რომ ქოჯრის მახლობლად არის სახელოვანი ეკკლესია, უძო, რომელიც წარსულს 1881 წ. განაბრწყინვალა საქალებო ინსტიტუტის უფროსმა ქალმა შიგნიდგან ყველა ნაირი ხატებით და ნივთით.

„ამ ეკკლესიას დიდის ხნის მჩენილი ჰყავდა წყნეთის მღვდელი მ. ი. მახთაძე, რომელსაც ეკკლესიის დღეობას სხვა-და-სხვა კაცებისთვის დაუვალებია ფულის შეკრება გზისა და ოთახების გაკეთებისთვის; მაგრამ გზა ისევ ის არის, როგორც ამ ორმოცი წლის წინედ გვინახავს და ოთახებიც ისეთი არიან, როგორც მგონია ასი და ორასი წლის წინედ ყოფილან.

„ამას წინად რევიზიისათვის დადიოდა, ეკკლესიების გასაშინჯავად, მამა არხიმანდრიტი მაკარი, რომელიც ოცდა-ერთს სეკტემბერს უძოს მახლობლად სოფ. წავკისში იმყოფებოდა, მაგრამ ამ ეკკლესიისთვის ზედაც არ შეუხედნიათ. ჭამეს, სვეს და პრიუტისაკენ იმგზავრეს. საბრალო უძო კი ზემოდამ დასცქეროდა ამათ და ელოდებოდა, რომ ესტუმრებიან, მაგრამ ამაოდ.

„წელიწადში სულ მცირე რომ ვსთქვათ, ყველა ნაირი შემოსავალი ექნება სამოცი თუმანი. ნეტავი თუ იცის საეკკლესიო მთავრობამ—სად მიდის ეს ფული?“

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ხიზაბავრა, 6 ოქტ.** (დასასრული*). ერკოტას შემომჩივლეს ქრისტიანებმა: ღვთის გულისთვის, ნეტა ვინმე გარდაგვარჩენდეს ამ მღვდლის რიგგარედ გარდასახადებსაო, თვითო თუმან ნაკლებ ჯვარს არა გვწერს, თხუთმეტ მანეთ ნაკლებ მკვდარს არ გვიმარხავს, ჩვენი მონაგები მღვდელს უნდება და ხელმწიფეს და ბატონს რაღა ვემსახუროთ? რამდენს უნდა ჩვენში შვილისა, ძმისა და ან ბიძაშვილების დაქორწინება და მღვდლის გარდასახადის გარდაკიდული დაფოლხებულიაო! წირვა-ლოცვას მის დროს ხომ მოკლებულნი ვართ! მისთანა დროს მოდის საწირავად, რომ სოფელში არავინ ვართ, საქმის გამოისად. სოფელში არის და ერთი დიაკვანი არა გვყავს, რომ ან გვალოცოს და ან ყმაწვილებს სჯული გაიცნოს და პატარ-პატარა წერა-კითხვა ასწავლოსო!

ძლიერ კარგი იქმნება, ვისიც რიგია ამ საგნებს ყურადღებას მიაქცევდეს. ამ თვითოეულ სოფლებში ყველგან მღვდელს თუ ვერ დაუნიშნენ, მაინც თითო ქართული წერა-კითხვის მცოდნე განუწესონ, რომ ლოცვები და წერა-კითხვა მაინც ასწავლოს ახალ-მოზარდ თაობასა; თვარემ ცუდი შედეგი მოჰყვება მომავალში. შუა გულ საქართველოში ქრისტიანენი თუ მალაკნობას ისურვებენ, აქ, ამ განაპირეს ახალ მოქცეულთ რაღა მოელოდება? საჭიროა მეტად სწავლული მღვდლები, კეთილი მაგალითისანი, უინტერესონი და მამულის მოყვარენი განვამრავლოთ, თორემ დაიღუპება ჩვენი ქრისტიანობის ერონება ამ რიგი უყურადღებობით! უწინდელი ყოფა-ქცევა, ცხოვრება სახორციელოდ რომ არ გვაკმაყოფილებს, სასულიერო სრულიად დაცემული მიმართულება როგორღა თავს დაგვიჭერს ამ გახრწნილ თავ-დანებებულს ცუდს დროებაში?..

ხიზაბავრის საბუზარის მახლობლად კერპთ-მსახურების დროს საფლავებია; ზოგი ქალად არის დაგდებული და ზოგიცა ყანებად დახნული. რამდენიმე ადგილს მოვათხრევინე; მაგრამ ყოველგან ნაცრის გროვები აღმოჩნდა და მათთან კერპის მკვდრის ძვლებიცა

*) იხ. „დროება“, № 217.

---

გუნდა ცეცხლი და იქაურობა გაანათა წითელმა შუქმა.

საზოგადოდ იმ ადგილებში დღეები თუმცა მეტად ცხელი იცის, მაგრამ ღამე ყინულიანი მთები და ნოტიო ადგილი ისეთს სიოს უშვებს, რომ ცეცხლს ერთი ათად ემატება ფასი და ღირსება. ამხანაგები, ყისინა*) წამოგდებულნი შემოუსხდნენ გარს, მარტიამ მოიტანა გუდა, ამოიღო ვახშამი და ყველანი მოუსხდნენ გარშემო.

იმათ ჩქარა შეჭამეს პური, როგორც მგზავრებმა, რომელნიც დროს დაკარგვას დაჩვეულნი არ არიან, ერთი მოუყენეს ყარაულად ტყვეებს და დანარჩენები მიწვნენ, ვისაც სად შეხვდათ..

დანარჩენი ღამე იმათ გაატარეს მშვიდობიანად და გათენებასთან ერთად გაუდგნენ გზას, რათა გასულიყვნენ სოფელს ბალაშკას, საიდანაც შამილთან გამგზავრებას აპირებდნენ.

როდესაც ამ სოფელში შევიდნენ, მზეს კარგად მოეარა, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ხალხი არსადა სჩანდა, რადგანაც იმათ მისვლაზედ, მარტო პატარა ბიჭები მოეგებნენ, რომელნიც გაოცებით შეჰყურებდნენ რუსებს. დანარჩენები გამორბოდნენ, რომ ჩქარა შეერთებოდნენ თავიანთ სოფლის ბიჭებს და იმათთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა ამ საერთო სიხარულში.

დიდი თუ პატარა მოსვლის უმალ მარჯვენა ხელის აქნევით უძახდა:

— მარშიოლ! (გზა მშვიდობისა!) მიდგებოდნენ იქით, დაიწყებდნენ ჩურჩულს და თითით რუსებზე ჩვენებას.

სოფლის ბოლოს, ერთი უფრო მოზდილი ახალ-გაზდა შემოხვდათ იმათ და მისალმების შემდეგ ჩორამა ჰკითხა:

— ბალლო! რაი ამბავია, რომ სოფელში კაცი არავინა სჩანს?

— ვისაც იარაღის ზიდვის თავი ჰქონდა, ყველანი შამილთან წავიდნენ... იქ გიაურებს ეჩხუბებიან. ასე ამბობენ, რომ წელს შამილმა გიაურები სულ უნდა გაწყვიტოსო...

— მაშ სოფელში კაცი არ ვინ არის?

— მარტო მოხუცებულები და ავად-მყოფები არიან, ისინიც ტყეში წავიდნენ შეშობ.

— ყველანი ერთად?

— ღმერთმანი ყველანი!.. იმ დღეს ერთი კაცი წავიდა ტყეში და ვიღამაც მოკლა, ამბობენ გიაურები იყვნენო. ეხლა მარტო კაცი ველარ დადის სამუშაოზედ, სულ სოფლობით და იარაღით დადიან.

ისინი გაუსწორდნენ სოფლის დასაწყისში პირველს სახლს, როდესაც ბალღმა ჰკითხა:

— მასპინძელი არა გყავსთ?

— არა. მისცეს პასუხი.

— აი ჩვენი სახლი, ჩვენსა წამოდით.

-- შენ ვისი ბალღი ხარ?

— ენდრი მალსაგისა... ისიც საომრად არის, ჩემი ორი უფროსი ძმაც იქ არიან.

ამ ლაპარაკის დროს, სახლიდგან გამოვიდა შუა ხნის, მშვენიერი სახის მქონე დედა-კაცი და მშვიდობა უთხრა მგზავრებს.

— აი დედა ჩემი. უთხრა ბიჭმა და მიუბრუნდა დედას:

— აი სტუმრები არიან, მასპინძელი არა ჰყავთ და ჩვენსა-კი არ მოდიან.

— სტუმარი ღვთისაა, წამოდით, მალსაგიანთ სახლის კარი თავის დღეში სტუმარს არ დაჰკეტია.

— მასპინძელი შინ არაა, წასჩურჩულა ქობამ ჩორას, მაგრამ დედაკაცმა ყური მოჰკრა და უპასუხა:

— ენდრი შინ არაა, მაგრამ განა სახლი ზურგით აიკიდა და თან წაიღო?.. რაცა გვაქვს ღვთისგან არის მოცემული და სტუმარიც ღვთისაა... გამოიარეთ.

სტუმრებმა უარი ველარ უთხრეს ამ გულ-წრფელს პატიჟზედ და შევიდნენ, მშვენივრად დაგვილ-დაწმენდილს ეზოში, რომელშიაც გაცალკევებით იდგა ისეთივე წმინდად გალესილი სასტუმრო.

სტუმრებს მიესალმნენ, ჩამოართვეს ცხენები და შეიყვანეს ოთახში, სადაც ერთკენ მხარ ძირიდგან ზეითამდინ აგებული საბან-გობანი და ბალიშები მნახველს გააკვირვებდა. მეორე მხარეს განიერი ტახტი ადგილობრივი მომზადებულის ჭილობებ მოფენილი. მესამე მხარეს ირმის გაჭიმული მთელი, თავარიელა თან გატანებული ტყავი ნამაზისთვის, იქავე ალთაფა და ტაშტი ამავე საჭიროებისთვის. კიდევ რამდენიმე სინი და ლანგარი სპილენძისა იქავე კედლით ეკიდა და გამოღებულს თახჩაში ეწყო წმინდად გაკრიალებული სამოვარი, თავის იარაღით! მეოთხე მხარეს ფანჯარა, ბუხარი და კარები. ოთახი წმინდად გალესილი და გატკეპნილი

*) ყისინა—ბლუდის მაგიერი შალის წამოსასხამი. ეს ოთხ-კუთხი წამოსასხამი, თბილი და სუბუქი უფრო საბანსა ჰგავს, სანამ სხვა ტანთ-საცმელს.

...ფუტურებულ-დალეწილი. ამათ თა... ჩრდილოეთისაკენ აქვთ და ფეხი ...სამხრეთისაკენ, გულ-ხელ დაკრებილი, ...ლოიაში ჯამები უდგიათ ნახშირით ...და შიგ ზოგთ სალვინე ჭინჭილა უდ-...ვაა და ზოგთ მინის თუ ჭიქის წურ-...წემა (იბრილი). ბევრნი დიდ-ტანნი ...და საგანგებო ძვალ-მ.ხვილნი არიან, ...მაგრამ სამწუხაროდ ბევრთ გუთნის ...საკვეთ-სახნისი დასწვდენია და მიუ-...ლეწ-მოულეწია ფუტურო ადამისწლის ...ძვალ-ხერხემალნი. სჩანს ცეცხლ-მ.ა-...ხურობით მნათობთ მოსავნი ყოფი-...ლან...

აქ აღმოჩენილი ნაცრის გროვები ...ერთ ყანის სიშორეზედ ვრცელდება ...მ გორიდგან დაწყობილი, სადაც ...კერპები ჰქონიათ ამართული; მაგრამ ...წინ ღრმად დამარხული ყოფილა. ...ბევრ საუკუნოებს გაუვლია. ნაცრის ...ტომად ამაღლებულს გორიდგან გად-...მოფენილს მიწაში მიცვალებულნი ...ჩანან ქრისტიანეთაცა; ის მიწა ხელ-...ახლავ საქონელ ცხვარ-ძროხის ფეხსა ...ღვარს გარდმოულეკია და იმ ...მიცვალებულთ კუბოები ჩანან ფიქ-...ლებისა.

...ერთს ხიზაბავრელს ამ სასაფლაოე-...ბის კარგა ზემოდ ნაჯახის ნაირი რა-...ღაცა ქვის იარაღი ეპოვნა. მა ქვა მე ...ვნახე; მაგრამ არაფერს არ ემგავსება, ...ჩვენი ქვეყნის ქვას არა ჰგავს, მო-...ტეხილი ლიბრი ქვაა. უთუოდ ეს ...სამარხში ჩამოტანილია მახლობელი ...ყოფის მხრიდგან. ჩემის აზრით, ლილი ...ბუნჯგები სძევს მიმარხული გამოსა-...ყენი ჩვენის ისტორიისათვის ამისთანა ...ადგილებში. მაგრამ საგულდაგულოდ ...მომძებნი არავინ არის.

...ბავლილ თვებში ხიზაბავრის მახ-ლობლად, ნიჯგორის ხრამის თავზედ, შევხვდი გაქვავებულს გველებსა, ქვაზედ მოხვეულით მა ქვა წამოვაღებინე, მაგრამ მომტვრეულია გარემოს; სამ მოხვეულ გველში ძლივს ერთი გველის ტანი იყო დაკრული ნახევრად, მოვსძებნე იმ ალაგას და იმ გველის თავიც ვიპოვნე, ადვილობრივი ქვის სახე მიულია. მეორე გველებისაც ტანის ნაწყვეტები სჩანს, სხვა აღარა. მე მგონია, წარმართობის დროს პატივის დებაში ჰქონიათ ეს საოცარი ძოვლინება. სჩანს, სამნივე მთლიანად ყოფილან და შემდგომ ქრისტიანობისა შეუმუსვრიათ და ნიჯგორის საწვეროდგან ამ ხრამში ჩაუგდიათ.

აგრეთვე საროს მახლობლად შვიდრავანტის გარდასავალს კაპნებში აღმოვარჩიე კლდის ძარღვები, რომელიც კეც-კეცად დგება თხელ ფიქალებად თითო-ოროლი მტკაველის ოდენი. ამ ფიქლებზედ მის დროს ქოფილ მცენართ (ბალახ-ვარდების) სახე ისე გარდახატულა, თითქოს კარგის ფოტოგრაფიით იყოს ემ წამს აღებული. უფრო საკვირველი ეს არის, რომ ფიქლის ორსავ მხარეს სხვა-და-სხვა მცენარებია, რეერთიც თხელი ფიქალი იყოს! მს კარგა მანძილზედ ასრე ნიდის, ზოგან სქელი ფიქლები დგება და გორმეზი (უსწორ-მასწორო), მაგრამ მაინც უფრო ცხოვლად გამოყვანილი მცენარეულთ სახე სურათი ატყვიათ.

ვინმე მესხი.

## სიცრუე რაღა „შრომის“ საკადრისია!

ბ. კეზელის ლექციის გამო მე გავუგზავნე გაზეთს „კავკაზს“ პატარა შენიშვნა, რომელიც ჩართული იყო მე-265 №-ის „ადგილობრივს ამბებში“. ამ შენიშვნაში სხვათა შორის ვამბობდი, რომ ვერ მოვრიგებივარ-მეთქი იმ მამ-შვილურს თავაზიანობას, რომელიც გამოიჩინა „შრომამ“ ბ. კეზელის შესახებ, „შრომამ“, რომელსაც ასე ემარჯვება ამავე კეზელის პირით მოურიდებლად და უსაფუძვლოდ ისეთის სერიოზულის და პატიოსანის მოღვაწეების მხილება, როგორიც არის მაგალითად Ილ. ჭავჭავაძე.

ამ ჩემს პატარას და სამართლიანს შენიშვნას შეუფუცხუნებია ჩვენი უდროოდ დაბერებული „შრომა“ და სხვა სიკეთესთან შეცდომილებისათვისაც შეცდომილებისათვის მიუყვია ხელი. ამ პატარძლის ჭირისუფლებს აგონდებათ თავის ყმაწვილობის ნეტარი დრო, „როცა კრიტიკა მოდად იყო ჩვენს მწერლობაში,“ და ჩემი პატარა შენიშვნაც კრიტიკად მოსჩვენებიათ, ან და თავს ილორებენ—მოგვეჩვენაო.

ხომ იცი, მკითხველო, როგორ იმართლებს ზოგიერთ ჯერ თავს ცუდს რაზედმე შესწრებული ვირ-ეშმაკა ადამიანი: მოჰყვება და აგიტეხსთ ჭინჭყლს რამე უმნიშვნელო წვრილმანზე და თავ-და-თავს დანაშაულზე კრინტსაც არ ამოიღებს, ვითომ და ტყუილის კორიანტელში სამართალი დაიმალებაო...

აგრე მოუვიდა „შრომასაც“: ის კმაყოფილი არ ითვლის ჩემგან ნაჩვენებს წინააღმდეგობაზედ, ჩემს შენიშვნას—არ ვიცი, ვის მოსატყუებლად—ეძახის კრიტიკას და შემდეგ განაგრძობს, რომ ჩვენ კეზელი როდი გვიქიაო (თითქოს ვინმე ამას ეწამებოდა!), „ჩვენ მოგვეწონაო, ბატ. კეზელის ქართული, მისი უბნობის ნიჭი, მოგვეწონა მისი თამამად და თავისუფლად ლაპარაკი და (გრამატიკულად, არა?) აზრების ერთი ერთმანეთთან შეთანხმება... ჩვენში საჯაროდ მოლაპარაკე კაცი ისე ძვირია... რომ კარგი ლაპარაკის გამოც მივაქცევდით ყურადღებას და ტაშს დავუკრავდითო.“

ვაიმე, სირცხვილო! მართალია, კეზელს ვერაფრად ეჭაშნიკება ამ გვარი „მოწონება“, მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ არც ამ მხრით იყო ლექცია „დაწყობილად“, „ძალიან კარგად“ წაკითხული, როგორც ამბობდა წინად განზრახ-გულ-მავიწყი „შრომა.“ მაგრამ, თუნდ მართალიც იყოს, ძალიან სამწუხაროა და, მეტს თუ არ ვიტყვით, ახირებული, რომ ასე ცოტა (ქართველი ლექტორისაგან ქართული ლაპარაკი!) აკმაყოფილებს და ტაშს აკვრევინებს იმ „შრომას“, რომელიც ასეთის გადამეტებულის სიმამაცით და უკადრისობით ჰგმობს Ილია ჭავჭავაძისთანა პირებს, მათის მოღვაწეობით უკმაყოფილო და მხილებით თავ-დავიწყებამდის გატაცებული.“

„უმწიფარიძე ამბობს, ლექცია უცებ შესწყვიტაო და ჩვენ კი ამაზედ მეტს ვამბობთ, როცა ვწერთ, რომ ლექცია წინა-სიტყვაობათ მოგვეჩვენაო“. Თქვენ ბატონო, ოღონდ მოგჩვენებიათ და მე კი აგრე ვწერდი: „лекція, цѣликомъ состоя изъ крайне неуклюжаго предисловія, неожиданно прервалась и завершилась“... რომელია უფრო მეტი, რომელი ჩვენგანი სტყუის?

„მაინც და მაინც“ შე ასეთო და შე ისეთო“ ხომ არ უნდა გვეთქვაო“,

---

...ეე რომ ქვის პოლით გეგონებო-...ათ.

...შესვლის უმალ, ოთახში შემოვი-...ა მშვენიერი სახის მქონე, მოღიმარი ...ახწვილი ქალი, მიესალმა სტუმრებს ...ა თავისი ხელით შემოხსნა იარაღი, ...რომელიც ისე რიგად ჩამოჰკიდა ...ოძის კაპებზედ, რომ ადვილად აღე-...ა შესძლებოდათ პატრონებს, თუ ...დასჭირდებოდათ რისთვისმე.

სტუმრები დასხა, ქალმა დახადა ...ბუხთ და გაანთო ცეცხლი, ის მას-...პინძლის გულუხვობის და მხიარულე-...ბის ნიშანი.

— ქალო, შენ ლამაზი ხარ და სა-...ხლიც შესაშვენი გექნება.—ჰკითხარ ...რა გქვიან?

— მე გონჯი ვარ, სიცილით და ...ხალისლუცობით უპასუხა იმან,—და სა-...ხლიც ეგეთივე გოჯი მაქვს.

— ჩვენც კარგად ვიცით ავისა და ...კარგის გარჩევა, რაი გქვიან?

— ბლჰანა *).

— Ღმერთს არ მოეტყუება, არ ...მემცდარა მაგის დამრქმევი! წა-...მოიძახა ჩორამ.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა ამ ...ხიარულს ლაპარაკში, როდესაც შე-...მოვიდნენ, რამდენიმე ყმაწვილი ქალები, რომელთაც დაიწყეს სიმღერა თამაშობა და შექება სტუმრებისა, რომელთაც ულოცამდნენ სამი აფიცრის დატყვევებას თუმცა ზდილობა ნებას არ აძლევდა ეს უკანასკნელები, როგორც უბედურები მასხარად აეგდოთ.

ტყვეებს ყველანი ისე ექცეოდნენ, როგორც, სტუმრებს *) და ყოველი ღონის ძიებით ცდილობდნენ არ შეხებოდნენ იმათ კაცობას, იმათ პირადობას, რადგანაც ამ გვარს მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მასხარად აგდება არ ეთანხმებოდა იმათ შეხედულებას. Კაცი უბედურია, იმას რაღა დაცინება, დამდაბლება ეჭირება? Უველას ესმოდა, ყველასა ჰქონდა მხედველობაში ეს და კიდეც იმისთვის ექცეოდნენ ისე ზრდილობიანად.

ამ დროს გატარებაში იყვნენ, როდესაც სტუმრებს ხელები დაბაინეს და სადილი მოუტანეს; სუფრა სუფრით იცვლებოდა, ერთს საჭმელს მეორე საჭმელი შესცვლიდა! ბოლოს ჩამოურთეს ქოშებით *) წვენიც, ის აუცილებელი საჭმელი ყველა მდიდარ და ღარიბი მთის კაცისა.

სდილს შემდეგ სტუმრებს თავი დააიბეს, რათა ისე მოესვენათ, როგორც თითონ მოიწადიებდნენ და ყვეიანი წავიდ-წამოვინდნენ, რომ სალმოზედ ხელ ახლად შეყრილიყვნენ ხელ ახლად გაეწიათ ქეიფი და გაეტარებინათ დრო.

როდესაც სტუმრები მარტონი დარჩნენ იმათ გადაწყვიტეს, რომ აქ მოიცდონ, იქამდინ სანამ ისეთს კაცს იშოვნიდნენ, რომელიც მიიყვანდა პირდა-პირ შამილთან ვედენოში, სადაც ამ ჟამად ის იმყოფებოდა.

...ინი ამ მოაზრებასა და რჩევაში იყვნენ, როდესაც გარეთ სრულებით სხვანაირი ხდებოდა.

...ფლის ღედაკაცები განუწყვეტლივ მოდიოდნენ და მოჰქონდათ ქათმი, კვერცხები, ერბო, ზოგს ბიჭს მოუდიოდათ საკლავები. მაა ნიშნავდა, რომ მეზობლის სტუმრები, სათ სტუმრად ითვლებოდნენ და ვისაც რით შეეძლო ცდილობდნენ მეზობლის ხელის გამართვას, შემწეობას. Ისინი თავის დღეში შეუწევრად არ დააგდებდნენ თავის მეზობელს არც ჭირში და არც ლხინში, ისინი შეელოდნენ ეხლა მალსაგიანთ სახლს დარწმუნებულნი, რომ თავის და კვალად ესენიც არ დააგდებდნენ უნუგეშოდ კეთილს მეზობლებს. Აქა სჩანდა რაღაცა ერთობა, რაღაც შემაკავშირებელი ძალა, რომელიც გარწმუნებდათ თქვენ, რომ ეს ერთი სახლობა იყო, შეერთებული ერთის აზრით, ერთის საჭიროებით, ერთის მწუხარეებით. Ეს ჯერ არ იყო გარყვნილი იმ სისაძაგლით, რომელიც სიხარულით გააგონებს მეზობელს მეზობლის რომელსამე უბედურობას. Ამის სამაგიეროდ ესენი ცდილობდნენ, რომ სტუმრებს სახელიანად და წესიერად დახვედროდა თავიანთი მეზობელი, მით უფრო ცდილობდნენ რომ სახლის უფროსი ამ დროს შინ არ იყო და არც იმდენი კაცი ჰყვანდათ, რომ ყველაფერს ვასწდომოდნენ.

Აფიცრები სრულის თავის უფლებით სარგებლობდნენ, რადგანაც პატიოსანი სიტყვა მისცეს, რომ გაქცევას არ ეცდებოდნენ.

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

*) ჩერქეზულად ჯეირანი.

*) საზოგადოდ თუ რა რიგად ექცეოდნენ ტყვეებს ჩეჩნები და ჩერქესები შეგიძლიანთ წაიკითხოთ Рус. Вѣс. 1864 г. ოკტ. ნოემ. და დეკემ. ნომრებში წერილები დატყვევებული აფიცრისა.

*) ქოშა ხის ჯამი ტარით, საიდგანაცხელს წვენსა სმენ. მშვენივრათ და სხვა-და-სხვა გვარად მომზადებულ წვენი თითქოს რაღაცა განსაკუთრებითი გემრიელდება ქოშაში.

მკითხებით, თითქო მე ამ გვარებს გირჩევდით. პირ-იქით: მე მაკვირვებს ის უკადრისი ყოყოჩობა და მართლაც რომ კინტოური „მე ასეთ-ისეთობა" კიჟინა, რომელსაც კადრულობს ყოვლად უსაფუძვლოდ და ლიტონის სიტყვით აღჭურვილი, თქვენგან წაქეზებული ბ. კეზელი.

ბოლოს დასტკბი, მკითხველო, „შრომის" მეჯელობის ერთი უკანასკნელის თვალ-მარგალიტითაც. თურმე „პოეტური ნ წილი" (რომელიც, აზრი რომ ვ ლარ აპ ინა, სიდამლაც გამოუნახავს ბ. კეზელის ლექციაში „შრომის" რედაქციას) და „აზრის და ცოდნის გავრცელება" სხვა-და-სხვა, ერთად მოუთავსებელი საგანია, თურმე პოეზია და აზრი ვერ ეწყობა ერთმანეთს! ხეირი შენს პოეზიას და შენს ცოდნასაც, ჩემო გულ-მწყრალო, „შრომავ"!

გრ. უმწიფარიძე.

## ტფილისის საავადმყოფო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ სათამდის.

**ორშაბათს.** გარეშე-ავადმყოფი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი მარლეების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაზაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

გუნიბის მოედანზედ, გოდფრუას ცირკის გვერდით

მოკლე დროით

შეიძლება ნახვა ყოველ დღეს დილის 10 საათ. საღამოს 11 საათამდი.

**საკვირველი სანახაობისა:**

12 წლის ყმაწვილი ქალი

## ელიზა,

ბუნების საკვირველება, სიმძიმით თერთმეტი ფუთი და 38 გირვანქა, მხრებში გარშემო ზომით 3 არშ. და 2 ვერშ., წელში 3 არშ. და 6 ვერშ.

ბერლინში პროფესორების: ვილხოვის ლანგენბერგის, რაიბერტის, და სხვების შემოწმებით, ეს ქენომენი უნდა წარმომდგარიყოს ტყუპების შეერთებით. (3—4)

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| შავადარეთ წყვილი ნაი | —1 მ. 10 კ. | მოსკოვის ნაიხ | —1 მ. 40 კ. |
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— ,, |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— ,, | — | —3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტებ, პურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშნ კალენკორი—სულ ყველაფერი 5, დამ 5ს პროცენტით უფრო იაფედ ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს მოსწერს, გაუგზავნის არაფერს ართმევს იხდის. (100—4)

**ღირსეულს და განათლებულს** ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება გორში, ბატ. დირექტორ სემენოს ოჯახში. (10—8

**ყმაწვილი ქალი,** რომელმაც რიგათ იცის ყოველი ხელ საქმე როგორათაც ხელით, ისეთაც მაშინით, **ეძებს ალაგს მკერავათ პატიოსან სახლში თვეობით.** ადრესი გაზაშვის სახლში, ვერაზედ № 4. (8—

დაიბეჭდა და ისყიდება გრ ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ახალი ქართული

## ქარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

საწერი

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდისა მოთხრობა თავზედ, შიგ ხუთი საჯაროდ მი... მარჯვიეთ: 1) ანბანის დედანის მხედრული ხელისას; 2, მაგალითის მხედრული ხელით წიგნიდამ გადამოწერისას; 3) ანბანის დედანის მოწერის ხელისას; 4) დედანის (იგივე მაგალითი) მხედრული ხელით გადმოწერისათვის; 5) ფოთოლური სტრიქონი მაგალითების მხედრულით გადმოსაწერი.

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

იყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მ ღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## ეროვა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ

**ტაქსის**

**საგზებაზ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ოკტომბრიდამ 15 ოკტომბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ. 20 Октября 1882 г.* *Типографія Мсликова* გამომცემელი ს. [illegible]შვილი. რედაქტორი ს. მესხი